ინფორმაცია სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების შესახებ

გრანტები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 11364,3 ათასი ლარი და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 9575,3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1789,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები მიღებულია 83,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 190,0 ათასი ლარი („საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის), ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 11 091,3 ათასი ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების (9146,9 ათასი ლარი) ფარგლებში ქალაქ წყალტუბოსა და სოფლებში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, კერძოდ სოფელ მაღლაკში №5, 7, 8, 9, 10 ჩეჩელაშვილების უბანში, სოფელ უკანეთში გზის რეაბილიტაცია, სოფელ ბანოჯაში ბარბარეწმინდას უბანში, ასევე მე-2, მე-6, 21-ე, 22-ე, 26-ე ქუჩების გზის რეაბილიტაცია, გეგუთში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია, ტყაჩირში აშვეთიების უბანში გზის რეაბილიტაცია, სოფელ რიონში მამრიკიშვილების უბანში (ტაძართან მისასვლელი გზის) რეაბილიტაცია, სოფელ საყულიაში გზის რეაბილიტაცია, სოფელ ნოღა-ქუთაისის დამაკავშირებელი გზის, ქალაქ წყალტუბოში რკინიგზის გადასავლელის რეაბილიტაცია, სოფელ ოფშკვითში გუბას, ძოძაშვილების, კეპულაძეების, ჩხობაძეების უბნებში გზის რეაბილიტაცია, სოფელ გუმბრაში კლუბის და იობიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია, სოფელ გვიშტიბში მაცაბერიძეების უბანში და მე-10 ქუჩაზე, ქალაქ წყალტუბოში გამსახურდიას და ქუთაისის ქუჩის გაგრძელებაზე, სოფელ ქვიტირში #20 ქუჩაზე, სოფელ მუხიანში ბროწეულას დასახლებაში და სოფლების ქვიტირი - ზედა მესხეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ქალაქ წყალტუბოში "ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სანიტარული წერტილების მოწყობა. ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ყუმისთავში, "გაბზარულ ტბასთან" მისასვლელი, "საწურბლიას" და "პრომეთეს" მღვიმეებთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით და თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ლეხინდრისთავში (ლეხინდრისთავი-ლეყერეთი) გზის მე-2 ეტაპის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის (704,0 ათასი

ლარი) ფარგლებში მზა ბეტონის შესყიდვა, სხვადასხვა მასალების შეძენა, სასაფლაოს შემორაგვა, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების ქსელის მოწყობა, შენობების რეაბილიტაცია, სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობა და სხვა. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია (425,8 ათასი ლარი); სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების (814,6 ათასი ლარი) ფარგლებში ქალაქ წყალტუბოში: კოლხეთის ქუჩაზე №6, ბესიკის ქუჩაზე №1, თამარ მეფის ქუჩაზე №11, დედა ენის ქუჩაზე №9, 26 მაისის ქუჩაზე №3, 9 აპრილის ქუჩაზე №7, 9 აპრილის ქუჩაზე №3, საერთო საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ ცხუნკურის, სოფ. წყალტუბოს, მექვენის, ოფურჩხეთის, დღნორისის და რიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული გზების აღდგენითი სამუშაოები.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის გეგმა	2022 წლის ბიუჯეტის ფაქტი	შესრულების %
გრანტები	**11 714,3**	**11 364,3**	97,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	**233,8**	**83,0**	35,5
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	**11 480,5**	**11 281,3**	98,3
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**190,0**	**190,0**	100,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	190,0	**190,0**	100,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**11 290,5**	**11 091,3**	98,2
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	**9 223,8**	**9 146,9**	99,2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	**704,0**	**704,0**	100,0
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსება და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	**542,7**	**425,8**	78,5
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო	**820,0**	**814,6**	99,3




გრანტების დინამიკა 2018 -2022 წ.წ.
9965,7
8183,8
13130,6
9575,3
11364,3
2018 წლის ფაქტი
2019 წლის ფაქტი
2020 წლის ფაქტი
2021 წლის ფაქტი
2022 წლის ფაქტი